

შ.პ.ს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ
„მერცხალის“
2020 წლის სამიანობის შემაჯამებელი ანგარიში

ქ.ოზურგეთი რუსთაველის ქ. N39
00

ელ-ფოსტა: fcmercxali@mail.ru

მობ: 599-14-88-

შ.პ.ს. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ბიუჯეტი შეადგენს 320 (ათას) ლარს; მათ შორის:

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენს 270.0 (ათასი ლარის)
- საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან დაფინანსება შეადგენს 50, 0 (ათასი) ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით გაიცა ხელფასები და ჩატარდა სტადიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ:

- სტადიონის სასტუმროს მთლიან შენობაში ჩაისვა მეტალო კარ-ფანჯრები;
 - გამოიცვალა სასტუმროში შესასვლელი ამორტიზებული ხის კარები და მის ნაცვლად ჩაისვა რკინის კარები;
 - სასტუმროს სახურავზე დამონტაჟდა წყალსანარინის სისტემა;
 - სტადიონის საწყობში და მიმდებარე ტერიტორიაზე დაისხა ცემენტის იატაკი;
 - ჭაზე დავამონტაჟეთ ელექტროტუმბო;
 - მოწესრიგდა კანალიზაციის ჭები, შეიცვალა სახურავები;
 - საწყობში გაკეთდა რკინის სტელაჟები;
 - განხორციელდა ტრიბუნის სახურავის ირგვლივ თუნუქის შემოკვრა;
 - შეიღება სტადიონის სკამები;
 - გაკეთდა სარბენ ბილიკზე ცხაური;
 - დამონტაჟდა სტადიონის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ბადე;
- ასევე შევიძინეთ სტადიონისთვის მოძრავი ურნები. საკანალიზაციო ჭის სახურავები და მინდვრისათვის 2 ცალი საკრეჭი აპარატი;

ბავშვთა ფეხბურთის გუნდმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის რეგიონალურ გათამაშების რამდენიმე თამაშში;

ხოლო რაც შეეხება, საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან დაფინანსებას აღნიშნული თანხებით გაიცა ხელფასები, შევიძინეთ სპორტული ინვენტარი, სამედიცინო წამლები. სპორტსმენებისათვის მზადდება სამედიცინო ოთახი;

შ.პ.ს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ
„მერცხალის“ დირექტორი

ზურაბ ჯუღელი